

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს  
განცხადება

**2010 წლის სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტში მონაწილეობის მსურველ პირთათვის**

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი # 12) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2010 წლის 8 აპრილის # 91/ნ** ბრძანებით დამტკიცებულია სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა.

2. ზემოაღნიშნული ბრძანების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტით განსაზღვრულ მომსახურებას განახორციელებს შესაბამისი მომსახურების მომწოდებელი ყველა მსურველი სამედიცინო დაწესებულება.

3. მომსახურების გაწევის ვადაა **2010 წლის 17 მაისიდან 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

4. სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის მოსარგებლედ განისაზღვრება ყველა ორსული, გარდა „საქართველოს საჯარო სკოლებისა და პროფესიული სწავლების ცენტრების მასწავლებლების, საჯარო სკოლების ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და ზოგიერთი დაწესებულების აღმზრდელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გადასაცემი სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის **2007 წლის 21 ნოემბრის №256** დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლეებისა.

5. სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტში მონაწილეობის მსურველმა სამედიცინო დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართებზე:

- ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი # 12, მე-4 სართული, ოთახი # 413;
- ქ. თელავი, ქეთევან წამებულის ქ. # 1;
- ქ. რუსთავი, ვახუშტის ქ. # 8;
- ქ. მცხეთა, მირიანის ქ. # 34;
- ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. # 105;
- ქ. ახალციხე, კეცხოველის ქ. # 6;
- ქ. ქუთაისი, ნინოშვილის ქ. # 61;
- ქ. ოზურგეთი, ჟღენტის ქ. # 6;
- ქ. ბათუმი, გორგასილს ქ. # 41;
- ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. # 93;
- ქ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. # 7.

**6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

ა) წერილობითი განაცხადი სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

დ) დაწესებულების სალიცენზიო მოწმობა და/ან ცნობა იმის თაობაზე, რომ დოკუმენტაცია კონკრეტული საქმიანობების მიხედვით შესაბამისობაშია მოყვანილი მოქმედ კანონმდებლობასთან.

7. ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნას ორ ეგზემპლარად – ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, ხოლო მე-2 ეგზემპლარი – ქსეროასლის სახით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ალექსანდრე მამალაძე, ლალი დევიძე, გულსუნდა ონიანი ტელ.: **936629**, მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი # **12**, მეოთხე სართული, ოთახი # **413**.